პროლეტარიელო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 30-ე წელი

ოთხშაბათი, 22 ივნისი, 1949 წ. № 123 (8426). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

გამარჯვებული საბჭოთა ხალხი — მოწინავე (1-ლი გვერდი).
ჩვენს რესპუბლიკაში (1-ლი გვერდი).
ბ. ლეონტიევი — ისტორიის გაკვეთილები (მე-2 გვერდი).
ა. კოკილაშვილი — სევასტოპოლი დღეს (მე-2 გვერდი).
გრიგოლ ჩიქოვანი — ხალხის ძალა (მე-3 გვერდი).
რა გვიჩვენა მოსავლის აღების პირველმა დღეებმა (მე-3 გვერდი).
მ. თუშიშვილი — მოთხრობა ომიდან დაბრუნებულზე (მე-3 გვერდი).
საბჭოთა საქმეთა მინისტრების საბჭოს პარიზის სესიაზე (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

გამარჯვებული საბჭოთა ხალხი

დღეს რვა წელი შესრულდა საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის დაწყებიდან. რვა წლის წინათ ფაშისტური გერმანიისა და მისი სატელიტების შეიარაღებული ძალები ვერაგულად დაესხნენ თავს ჩვენს მშვიდობისმოყვარე ქვეყანას. მტერი მიზნად ისახავდა საბჭოთა წყობილების მოსპობას, საბჭოთა ხალხის დამონებას, ჩვენს ქვეყანაში შუასაუკუნეობრივი წყვდიადის დამყარებას. ფაშისტური გერმანიის აყალფურმა თავდასხმამ მთელი ჩვენი ქვეყანა ერთიან სამხედრო ბანაკად გადააქცია. საბჭოთა ხალხმა შემოსეულ მტერს საყოველთაო სამამულო ომით უპასუხა.

ომი, რომელიც თავს მოგვახვიეს გერმანელმა ფაშისტებმა, იყო უსასტიკესი და უმძიმესი, როგორიც კი კაცობრიობის ისტორიას ახსოვს. „მაგრამ ომი, — გვასწავლის ამხანაგი სტალინი, — მარტო უბედურება როდი იყო. იგი ამასთანავე იყო ხალხის მთელი ძალების გამოცდისა და შემოწმების დიდი სკოლა... ომმა გამოცდის მსგავსი რამ მოუწყო ჩვენს საბჭოთა წყობილებას, ჩვენს სახელმწიფოს, ჩვენს მთავრობას, ჩვენს კომუნისტურ პარტიას და შეიჯალა მათი მუშობა“. ეს ისტორიული გამოცდა ჩვენმა ქვეყანამ, ჩვენმა ხალხმა ბრწყინვალედ ჩააბარეს. ჩვენი სამშობლოსათვის მძიმე დღეებში საბჭოთა სახელმწიფოს თავდაცვის საქმეს სათავეში ჩაუდგა დიდი სტალინი. ბოლშევიკური პარტიის, დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის ზნამძღოლობით საბჭოთა ხალხი გამარჯვებული გამოვიდა ომიდან.

როცა ჩვენი სამშობლოს წინააღმდეგ ომს იწყებდა, მტერს იმედი ჰქონდა, რომ საბჭოთა კავშირი პირველივე სერიოზული დარტყმების შემდეგ შიმაღვენელ ნაწილებად დაიშლებოდა, დაიწყებოდა შეფლი და მტრობა ერთა შორის, მუშებსა და გლეხებს შორის. მაგრამ მტრის ვარაუდი არ გამართლდა. მძიმე განსაცდელმა კიდევ უფრო მტკიცედ შეკავშირა საბჭოთა ხალხი. მტრის წინააღმდეგ ერთნაირი სიმტკიცით იბრძოდნენ რუსები და უკრაინელები, ქართველები და ბელორუსები,— საბჭოთა კავშირში შემავალი ყველა ერი. საბჭოთა ხალხმა ომის ფრონტებსა და ზურგში სწორუპოვარი ბრძოლითა და შრომით გმირი ხალხის სახელი დაიმკვიდრა.

სამამულო ომში გაიმარჯვეს და თავისი სიცოცხლისუნარიანობა დაამტკიცეს საბჭოთა საზოგადოებრივმა წყობილებამ, საბჭოთა სახელმწიფოებრივმა წყობილებამ, გმირმა საბჭოთა არმიამ. ამ გამარჯვებას საბჭოთა ხალხი უმადლის ბოლშევიკურ პარტიას, დიდ სტალინს. დიდი სტალინის გენია გმირობისათვის აღიფრთოვანებს საბჭოთა ხალხს. მისი უშუალო ხელმძღვანელობით და მხედართმთავრობით გაანადგურა საბჭოთა ხალხმა გერმანელი ფაშისტები და იაპონელი იმპერიალისტები, ფაშისტური მონობისაგან გაათავისუფლა ევროპის დამონებული ქვეყნები, დაეხმარა აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნებს დაეყარებინათ სახალხო-დემოკრატიული წესწყობილება.

ოთხი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მეორე მსოფლიო ომი დამთავრდა. როგორც ომის წლებში, ისე მშვიდობიანი მშენებლობის წლებში ნათლად გამოვლინდა საბჭოთა ადამიანების — ვეშების, გლეხების, ინტელიგენციის უმაღლესი მორალური თვისებები — გმირობა და სიმამაცე, დაბრკოლებების გადალახვისა და წინსვლის დაუცხრომელი უნარი. უდიდესი სიამაყის გრძნობა გიპყრობთ, როცა თვალს გადაავლებთ ჩვენი მეშვების, გლეხების, ინტელიგენციის ნამუშევარს განვლილ ოთხ წელიწადში. რა ბევრი შეუძლია იმ ხალხს, რომელსაც არ სტანჯავს კაპიტალისტური მონობის უღელი და რომელიც თავისუფალ შრომას ეწევა! თავისუფლებისა და პროგრესის მტრები წარუმატებლობას უწინასწარმეტყველებდნენ ჩვენი სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ახალ სტალინურ ხუთწლედს. მაგრამ საბჭოთა ხალხმა, ისევე როგორც ომის დროს, მშვიდობიანი ეკონომიდებითი შრომის დროსაც დაამსხვრია მათი ვარაუდები, თავის სასიცოცხლო საქმედ მიიღო ახალი ხუთწლედი და წარმატებით შეუდგა მის განხორციელებას.

მაშინ როცა კაპიტალისტური ქვეყნები ომის შემდეგ განიცდიან ძძიმე ეკონომიურ შერყევას, რაც მათ ახალი კრიზისისაკენ მიაქანებს, როცა სულ უფრო და უფრო იზრდებიან უმუშევართა მილიონები და კიდევ უფრო მძაფრ ხასიათს იღებს კლასობრივი ბრძოლა, ჩვენში, საბჭოთა ქვეყანაში, სულ უფრო ვითარდება სახალხო მეურნეობა, მთელი ხალხი ჩაბმულია შემოქმედებითს შრომაში, ერთმანეთს ეჯიბრება ხუთწლედის ვადამდე, ოთხ წელიწადში შესასრულებლად. უკვე 1947 წლის ოქტომბერში ჩვენი მრეწველობის დონემ გადააჭარბა ომამდელ დონეს. ჩვენმა სოფლის მეურნეობამ წარმატებით გადალახა სიძნელეები და გადაჭრა მარცვლეულის პრობლემა. გაუწყვეტლივ ვითარდება და ახალ მწვერვალებს იპყრობს საბჭოთა მეცნიერება, კულტურა. სულ უფრო მაღლა იწევს მშრომელთა ცხოვრების დონე. ყოველივე ამაში მოჩანს საბჭოთა ხალხის, გმირი ხალხის ძალა და უძლეველობა.

შემოქმედებითი შრომის ფერხულშია ჩაბმული მთელი საბჭოთა ხალხი. მუშები, გლეხები, ინტელიგენტური შრომის მუშაები სოციალისტური შრომის შესანიშნავ ნიმუშებს იძლევიან. ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულების ამოცანამ, ჩვენს ქვეყანაში ეროვნულმა მშენებლობის გრანდიოზულმა ამოცანამ წარმოშვა სტახანოვური შრომის ახალი სახეები — შეჯიბრება საუკეთესო ხარისხის პროდუქციის გამოშვებისათვის, ნედლეულისა და საწვავის ეკონომიის, შინაგანი რეზერვების მაქსიმალური გამოყენების, სბერნესი სახსრების ბრძნივის დაჩქარების, წარმოების კულტურის ამაღლებისათვის. ფართოდ გაჩაღდა შეჯიბრება უხვი, სარეკორდო მოსავლისათვის, რამაც მრავალი ასეული გმირი წარმოშვა საკოლმეურნეო სოფელში. შრომის ასეთი პათოსი წარმოუდგენელია კაპიტალისტურ ქვეყნებში.

ჩვენს ქვეყანაში მოპოვებული ამ გრანდიოზული გამარჯვებებით, სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების მნიშვნელოვანი წარმატებებით შეშფოთებულია საერთაშორისო რეაქცია. ახალი ომის ამერიკელი გამჩაღებები, რომლებმაც შეცვალეს განადგურებული ჰიტლერელები, ომის აღვირახსნილ პროპაგანდას ეწევიან. საბჭოთა ქვეყნისაკენ — მშვიდობის და დემოკრატიის ბურჯისაკენ, სოციალიზმის დიდი ქვეყნისაკენ არის მიპყობილი მთელი მსოფლიოს პროგრესული ადამიანების აზრი და გრძნობა. საბჭოთა ხალხი, დარწმუნებული თავის ძალებსა და თავისი საქმის სიმართლეში, განუხრელად ახორციელებს მშვიდობის პოლიტიკას, ფხიზლად ადევნებს თვალყურს იმპერიალისტთა ნრიკებს და კიდევ უფრო მჭიდროდ რაზმავს თავის რიგებს ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო, ჩვენი გამარჯვებების სულისჩამდგმელისა და ორგანიზატორის დიდი სტალინის გარშემო.

ვერაფერი შეაჩერებს ჩვენს წინსვლას კომუნიზმისაკენ. ლენინის დროშით, სტალინის წინამძღოლობით ჩვენ ავაშენებთ კომუნიზმს!

ჩ ვ ე ნ ს რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ა შ ი

რაიონული გაზეთების რედაქტორთა სემინარი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით თბილისში ჩატარდა რაიონული გაზეთების რედაქტორთა 10 დღიანი სემინარი. სემინარი მუშაობდა ორ ჯგუფად — ქართული და რუსული ჯგუფი.

სემინარის მონაწილეებმა მოისმინეს ლექციები და მოხსენებები შემდეგ თემებზე: რაიონული გაზეთების მორიგი ამოცანები, რაიონული გაზეთის მუშაობის ორგანიზაცია, მრეწველობისა და ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის, პარტიული ცხოვრების, საბჭოთა მშენებლობის საკითხების გაშუქება გაზეთში, მოწინავე სტატია გაზეთში, ინფორმაცია გაზეთში, მუშაობა რედაქციის გარშემო აქტივთან და მშრომელთა წერილებზე, გაზეთის ენა და სტილი.

სემინარის მონაწილეებისათვის წაკითხულ იქნა აგრეთვე ლექციები და მოხსენებები საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებზე, სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ ჩიღეთში, იდეოლოგიურ საკითხებზე საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებათა შესახებ და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებზე.

საწარმოთა მექანიზაცია

ჟუთაისი. (საკ. კორ.). მექანიანის საბელების საკონსერვო ქარხანამ მაისის ბოლო რიცხვებში განაახლა მუშაობა. სეზონის მომზადებულად შეხვედრისათვის აქ სხვა ღონისძიებებთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მექანიზაციის ფართოდ დანერგვას. უკანასკნელ დრამდე საამქროებში ნედლეულისა და დამზადრე მასალების შეზიდვა ხელით სტარებელი ეტაკნეტებით ხდებოდა. დირექციამ შეიძინა 2 ელექტრომავალი, რომელიც ერთნაბეკერ ეჩარების გადაზიდვას. შეძენილია აგრეთვე ორი ტრანსპორტიორი, წარმოებს ქილების მექანიკური რეცხვა, რამაც ხელი საამქროზე ბარიანობა გაათავისუფლა ათობდე მუშა. ამავამად სპეციალურად მოწყობილ ტრანსპორტიორზე გარეცხილი ქილები გადადგმულ დანიშნულებისამებრ.

ტყავფეხსაცმლის კომბინატში დაიდგა 32 ცალი სნეგოსანები ახალი ბანქანა, რომელიც ერთი მესამეთით ადიდებს პროდუქციის გამოშვებას. ამასთანავე, თუ წინათ ხელით შესასრულებელი სამუშაო კომბინატში 40 პროცენტს აღწევდა, ამჟამად თითქმის ყველა პროცესი მექანიზებულია.

მეშახტეთა ბინების მშენებლობა

ტყვარჩელი. (საკ. კორ.). აქ გაჩაღებულია მეშახტეთა ახალი ბინების მშენებლობა, რომელსაც აწარმოებს ტყვარჩელშახტმშენის ტრესტის საბინაო მშენებლობის სამმართველო. ბინათმშენებლებმა მეშახტეებს მეორე კვარტალში სოციალისტაციოდ გადასცეს 1.288 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. მიმდინარეობს და წლის ბოლოსათვის დამთავრდება 8 კაპიტალური სახლის მშენებლობა, რომელთა საერთო ფართობი 5.550 კვადრატულ მეტრს უდრის.

მეშახტეთა ბინების მშენებლობისათვის წელს მარტო შახტმშენის ტრესტმა უნდა აითვისოს 10 მილიონი მანეთი.

აგურ-კრამიჩის ქარხანა

სამტრედიის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატმა სოფელ კულაშძაგო აგურ-კრამიტის მექანიზებული ქარხანა, რომელიც წელს 300 ათას ცალ აგურსა და 160 ათას ცალ კრამიტს გამოუშვებს.

ქარხანაში დამზადებული აგური და კრამიტი მოხმარდება კოლმეურნეობებში მეცხოველეობის ახალი ფერმების შენობებისა და კოლმეურნეთა ბინების მშენებლობას. **(საკ. კორ.).**

ალებულია 873 ჰექტარი პურეული

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს 20 ივნისის ცნობებით კოლმეურნეობებში ალებულია 873 ჰექტარი პურეულის მოსავალი. აქედან სიღნაღის რაიონში — 343 ჰექტარი, ყვარლის — 273, გარდაბნის — 88, თბილისის — 77, ლაგოდეხის — 54, თეთრი წყაროს რაიონში — 38 ჰექტარი.

შეგეხილია 51.196 ზონარმეჯრი თამბაქო

20 ივნისისათვის ყვარლის რაიონის კოლმეურნეობებში შეტეხილია 1.540 ზონარმეტრი თამბაქო, ლაგოდეხის რაიონში — 29.996, მარნეულის — 17.700, ბოლნისის რაიონში 1.960 ზონარმეტრი. სულ რესპუბლიკის კოლმეურნეობებში შეტეხილია 51.196 ზონარმეტრი თამბაქო.

თბილისის რაიონმა დაიწყო კურეულის ჩაბარება

თბილისის რაიონის ცალკეულ კოლმეურნეობებში დაიწყო თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღება. 19 ივნისს ალებული იყო 77 ჰექტარი. 21 ივნისს კუმისის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ ჩაბარა 8 ტონა მაღალხარისხოვანი ქერი.



პირველხარისხოვანი კრდუქციისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურებულები, სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის საქმაბე საამქროს ბრიგადა: მ. ბახუაშვილის ხელმძღვანელობით. სურათზე (მარჯვნიდან) მ. ბახუაშვილი, გ. ჯალანტიაშვილი, კ. მიგრიაული და გ. კოდინი.

ფოტო რ. ბაგოფოვისა

სამგორის სახალხო მშენებლობაზე

ბარეკახელების ჩაბოლვა

საგარეჯოს რაიონში 14 სახოფლო საბჭოს 41 კოლმეურნეობიდან გამოვიდნენ ზემოსამყაროს მგზავრსრულური ირბის მშენებლები—1.345 კოლმეურნე. მათ ნაკისრი აქვთ 12.000 კუბმეტრი მიწის სამუშაოს შესრულება არა ათ დღეში, როგორც ვარაუდი იყო, არამედ 4-5 დღეში. მშენებლებს თან წამოუვიდნენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ვ. დუნიძე და საქართველოს კ. პ. (ბ) საგარეჯოს რაიკომის მდივანი ამხ. ს. ფანიოზაშვილი. მათთან ერთად მშენებელთათვის ხელმეხეწყობად ჩამოსული არიან ინჟინრები ა. ახვლედიანი, ს. ბენიძე, ეკიმი ო. მჭედლიშვილი, ყველა ისინი, ვინც კოლმეურნე მშენებლთა მომსახურებისა და დამბარებისათვის აეცილებელი არიან.

გორელებისა არ იყოს, ყამირი არც საგარეჯოელებს შეხვდათ მსუბუქი. ხუთკუნოა გაბმულობაში უწყლობით გაბმარ ადგილის ქვები [illegible] ნი ფერნის ქვეშ ქვანახვეთ გაკეკრიგებულა. პირველი ბარის დარტყმამ საგარეჯოელები გააცარა— ასეთი ნიადაგი თუა, სამუშაოს ხან დღეშიც შეასრულებთო, მაგრამ შემდეგ იმედი არ გაუმართლდათ, ბარები ნერკვეებით და ძალიანებით შეეცალეს, მშენებლებია საკოლმეურნეო ბრიგადების შორის სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებებში დამატება შეიტანეს:

— მოუხდებიან ძნელად დასამუშავებელი უმრავლესი, მაგრამ შემდეგ იმედი არ გაუმართლდათ, ბარები ნერკვეებით და ძალიანებით შეეცალეს, მშენებლებია საკოლმეურნეო ბრიგადების შორის სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებებში დამატება შეიტანეს:

— მოუხდებიან ძნელად დასამუშავებელი უმრავლესი, ხუთკუნოა ბარეკახელებმა ბოლვა ერთ ადგილზე, ბარეკახელებმა ბოლვა ერთ ადგილზე, ბარეკახელებმა ბოლვა ერთ ადგილზე,

ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲒᲐᲙᲕᲗᲘᲚᲔᲑᲘ

რვა წლის წინათ, 1941 წლის 22 ივნისს, ჰიტლერული გერმანიისა და მისი სატელიტების ურდოებმა უეცრად და ვერაგულად დაარღვიეს საბჭოთა კავშირის საზღვარი მთელ მის სიგრძეზე, — ბალტიკიდან შავ ზღვამდე. გერმანია და მისი მთავარი თანამონაწილენი — იმპერიალისტური იაპონია და ფაშისტური იტალია—მაშინ თავიანთი ძლიერების ზენიტში იმყოფებოდნენ. ევროპის თხუთმეტი სახელმწიფო გადაქცეული იყო ჰიტლერის მეხარკედ ან ხელმეწყობად. მისი არმიისათვის იარაღს ამზადებდნენ არა მარტო რურში, არამედ საფრანგეთის, ბელგიის, ლუქსემბურგის, ჰოლანდიის ქარხნებშიც; იარაღის წარმოებას ხმარდებოდა შვეიცის მადანი და თურქეთის ქრომი. გერმანელებთან ერთად საბჭოთა მიწა-წყალს, გაძარცვისა და გამდიდრების იმედით, შემოესივნენ ესპანელი ფალანგისტებიც, იტალიელი შავხალათიანებიც, უგვარტომო გამცემლებიც — დაპყრობილი, მაგრამ დაუმონებელი ევროპის ყველა ქვეყნის კოლაბორაციონისტები.

ამ დროს კი შორეულ აღმოსავლეთში იაპონის არმიებმა უკვე დაიპყრეს ჩინეთის დასახლებული და მწარმოებელი პროვინციების სამი მეოთხედი და ემზადებოდნენ გადამწყვეტი შტურმისათვის ინდონეზიის კუნძულებზე, ფილიპინებზე, მალაიაზე, ბირმაზე და შორეულ ინდოეთზე.

თითქოს არ არსებობდა ძალა, რომელსაც შეეძლებოდა შეეჩერებინა ფაშიზმის შავი არმიები, რომლებიც გაერთიანებული იყვნენ ბერლინ-რომის „ღერძით“, აგრეთვე ყბადაღებული „ანტიკომუნისტური პაქტით“ და რომლებსაც მიზნად ჰქონდათ დასახული მსოფლიოს ყველა ქვეყნის დაპყრობა და დამონება. ბრიტანეთის იმპერიალიზმი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დასაწყისშივე ცბილებჩამტვრეული, დაუძლურებული მტაცებელი აღმოჩნდა, უკან იხევდა მთელ ხაზზე — ევროპაში, აფრიკაში, აზიაში, და არ ძალუძდა რაიმე ეფექტიანი წინააღმდეგობა გაეწია აგრესორებისათვის, მიუხედავად ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერისა.

საზიზღარი, მდაბალი გრძნობები გამოავლინეს ანგლო-საქსური სამყაროს ყველაზე გამოჩენილმა იდეოლოგებმა საბჭოთა კავშირზე გერმანიის თავდასხმის დღეს. ამერიკელ და ინგლისელ კონსერვატორებს არა თუ არ სწამდათ ფაშიზმის განადგურება, არამედ არც კი სურდათ ეს, — ისინი ფიქრობდნენ მხოლოდ დრო მოეგოთ, ან იქნებ თავისი წილი ნადავლიც მიეღოთ, ოცნებობდნენ იმაზე, რომ გერმანელი აგრესორი თუნდაც დროებით გამძლარიყო ისეთი ვეებერთელა „ლუკმით“, როგორიც რუსეთია.

სხვანაირად ფიქრობდნენ ყველა საჭელმწიფოს ხალხის მასები, რომლებიც იმედითა და რწმენით ადევნებდნენ თვალყურს აღმოსავლეთ ევროპაში გაჩაღებულ საბჭოთა ხალხების გიგანტურ ბრძოლას თავიანთი სოციალისტური სამშობლოსათვის, კაცობრიობის ხსნისათვის. რუსეთის ველებზე წყდებოდა მსოფლიოს ბედი.

საბჭოთა ადამიანების მორალურმა უპირატესობამ თავი იჩინა ომის პირველსავე დღეებსა და საათებში. მტრის აჭარა რიცხობრივი და მატერიალური უპირატესობის პირობებში, რომელმაც გამოიყენა უეცრობის მომენტი და ჭურღლოად თავდამსხმელი ავიაციის ყველა უპირატესობა, საბჭოთა მეომრებს კაპიტულაცია არ მოუხდენიათ, უბრძოლველად არ დაუთმეთებია არც ერთი ქალაქი, მორჩილებით არ შეგებებიან დამპყრობელთ. გამბედაობა, სიმამაცე, სიკეთილის არაფრად ჩაგდება,— სოციალისტური რევოლუციის მებრძოლთა ეს თვისებანი, ბოლშევიკების ეს თვისებანი გახდნენ მილიონობით პატრიოტ მებრძოლთა თვისებები.

ომის პირველმა თორმეტმა დღემაც კი, რამაც ასეთი თვალსაჩინო „წარმატება“ მისცა დამპყრობლებს და ინგლისსა და ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო „ექსპერტთა“ უაღრესად პესიმისტური წინასწარმეტყველება გამოიწვია, სრულიადაც ვერ დაადასტურა ჰიტლერის გერმანელ-ფაშისტური არმიის „უძლეველობა“.

„ამ არმიას ჯერ კიდევ არ შეხვედრია სერიოზული წინააღმდეგობა ევროპის კონტინენტზე, — ამბობდა მაშინ ამხანაგი სტალინი, — მხოლოდ ჩვენს ტერიტორიაზე წაწყდა იგი სერიოზულ წინააღმდეგობას. და თუ ამ წინააღმდეგობის შედეგად გერმანელთა ფაშისტური არმიის საუკეთესო დივიზიები დამარცხებული იქნენ ჩვენი წითელი არმიის მიერ, ეს იმას ნიშნავს, რომ ჰიტლერის ფაშისტური არმიაც შეიძლება ისევე დამარცხდეს და დამარცხდება კიდეც, როგორც დამარცხდნენ ნაპოლეონისა და ვილჰელმის არმიები“. (ი. ბ. სტალინი. საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ, გვ. 10).

საბჭოთა არმიის გენიალურმა მხედართმთავარმა გადაგვიშალა ბრძოლისა და გამარჯვების გეგმა. ეს გეგმა ერთსულოვნად მიიღო მთელმა საბჭოთა ხალხმა. ასეთი რამ უჩვეულო და შეუძლებელი იყო ეგრეთწოდებული ბერლინუხისული „დემოკრატიის“ ქვეყნებისათვის, სადაც არ არის და არც შეიძლება იყოს ისეთი განუყრელი კავშირი ხალხსა და მთავრობას შორის, სადაც არ იციან ისეთი სიყვარული და ერთგულება თავისი სამშობლოსადმი, როგორც საბჭოთა კავშირში. ხოლოდ საბჭოთა, სოციალისტურ წყობილებას შეეძლო ასე დაერაზმა ერთ ოკეანად ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხი მტრისათვის გმირული წინააღმდეგობის გასაწევად. და მხოლოდ საბჭოთა, სოციალისტურ სახელმწიფოს შეეძლო უზარმაზარეულეყო ამ გიგანტური ბრძოლისათვის ხალხის მთელი ძალების ისეთი ორგანიზებულობა და მობილიზაცია გამარჯვების მისაღწევად, როგორიც ისტორიას არ ახსოვს.

ბრძოლისა და გამარჯვების სტალინური გეგმა ითვალისწინებდა საბჭოთა ადამიანების თავდადებულ და შეთანხმებულ მოქმედებას ფრონტზე, ზურგში და ფრონტის ხაზს იქით — მტრის ზურგში. უკანასკნელ სისხლის წვეთამდე საბჭოთა მიწა-წყლის თვითეული გოჯის დაცვა, მთელი ძალების მობილიზაცია მტრის საწინააღმდეგოდ და მის გასანადგურებლად, მტრისა და მის ხელმეწყობთათვის აუტანელი პირობების შექმნა, საბჭოთა ქვეყნის შორეულ ოლქებში უმნიშვნელოვანესი სამრეწველო საწარმოების გადატანა — ასეთი პროგრამის შესრულება შეეძლო მხოლოდ დეკგმირ ხალხს, რომელმაც შექმნა უდიდესი სოციალისტური სახელმწიფო. და მხოლოდ ბოლშევიკების პარტიას, ლენინ-სტალინის პარტიას შეეძლო წაეყვანა ჩვენი ქვეყანა ძლევამოსილი სამამულო ომის ამ დიდი გეგმის შესასრულებლად.

საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის ეპოქა კაცობრიობის ისტორიაში შეადგა როგორც ყველაზე მკაფიო მისი ფურცელი, რომელიც მოგვითხრობს სოციალისტური საზოგადოების ადამიანის ძალასა და სიდიადეზე, მის უმაღლეთო გმირობასა და სიმტკიცეზე, მილიონობით საბჭოთა ჯარისკაცების, პარტიზანების, მოხუცებისა და ბავშვების, ქალებისა და მზარეღების მამაცობასა და მაღალ პატრიოტიზმზე, მუშებისა და კოლმეურნეების ტიტანურ შრომაზე, ლენინ-სტალინის დიდი პარტიის სიბრძნეზე. უკვე ხუთი თვის შემდეგ ომის დაწყებიდან, რომელშიც გერმანელებს ესოდენ სერიოზული უპირატესობა ჰქონდათ, ჰიტლერულმა არმიამ მოსკოვთან განიცადა პირველი უსასტიკესი დამარცხება მთელი თავისი არსებობის ისტორიაში. ხოლო ერთი წლის შემდეგ, თავისი მასშტაბითა და გმირობით უმაღლეთო სტალინგრადის დაცვის შედეგად, დაიწყო სტალინგრადის დიდი შტურმი. გერმანიისა და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ ორთა ბრძოლაში საბჭოთა კავშირმა გადამწყვეტი გამარჯვება მოიპოვა. სტალინგრადის ბრძოლა მოასწავებდა გერმანიის არმიის მზის ჩასვენებას და მისი გარდგურების დასაწყისს. მან გარდატეხა შექმნა მეორე მსოფლიო ომის მთელ მსვლეოლობაში. სტალინის სამხედრო გენიამ უზარმაზეულეყო სტალინგრადის გამარჯვება, ყველაზე სახელოვანი და ყველაზე დიდი გამარჯვება ომების მთელ ისტორიაში. გაიმარჯვა სტალინურმა სამხედრო დოქტრინამ, გაიმარჯვა და თავისი უდაო უპირატესობა ცხადყო საბჭოთა სოციალისტურმა სისტემამ. გაიმარჯვა სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობამ.

ასრულდა ამხანაგ სტალინის წინასწარმეტყველება: საბჭოთა ხალხის ბრძოლაში შეუერთდა ევროპის ყველა ხალხის ბრძოლა ფაშისტური უღლისაგან მათი განთავისუფლებისათვის. მრისხანე ნაკადად მიიწევდნენ გერმანიის საზღვრებისაკენ ძლევამოსილი საბჭოთა ჯარები, რათა გიგანტურ ბრძოლებში ვისლასა და ოდერზე, დუნაისა და ტისაზე, კარპატებში და ბერლინთან უკანასკნელ გადამწყვეტ ბრძოლაში დაეჩოქებინათ მტერი და აეძულებინათ კაპიტულაცია მოეხდინა. ღღითიდღე ჩაღდებოდა პოლონელებისა და ჩეხების, ფრანგებისა და ნორვეგიელების პარტიზანული ბრძოლა, რომელთაც აღაფრთოვანებდა საბჭოთა ადამიანების გმირობა.

სულ სხვანაირად იქცეოდნენ ინგლისისა და შეერთებული შტატების მმართველი წრეები. ევროპაში მეორე ფრონტის გახსნა არ მოხდა არც 1941 წელს და არც 1942 წელს, მიუხედავად დასავლეთ სახელმწიფოთა საზეიმო ვალდებულებისა. იგი გადადო შემდეგ 1943 წლისათვის. ოპერაციები დაიწყო მხოლოდ 1944 წელს, როცა შეიქმნა „საფრთხე“, რომ საბჭოთა არმია თვითონ გაათავისუფლებდა მთელ ევროპას. ინგლის-ამერიკის არმიები, რომლებიც საფრანგეთში გადასხდნენ, შეხვდნენ ჰიტლერული არმიის ზურგის „დამცველებლ“ ნაწილების მხოლოდ სუსტ წინააღმდეგობას, რომელთა მთავარი ჯარები განადგურებული იყვნენ აღმოსავლეთის გიგანტურ ბრძოლებში.

არ გამართულა კაპიტალისტური სამყაროს რეაქციონერ მოღვაწეთა ვარაუდები. საბჭოთა კავშირი ომის მკაცრი გამოცდიდან ამოვიდა არა დასუსტებული, არა სისხლით დაცლილი, არამედ ევროპის ხალხთა განმათავისუფლებლის დიდების მოსილ მსოფლიოს მძლავრ სახელმწიფოდ, რომელიც გადამწყვეტ გავლენას იხდენს საერთაშორისო პოლიტიკაზე.

მეორე მსოფლიო ომის შედეგად, საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს გამარჯვებათა შედეგად განუზომლად განმტკიცდა და გაიზარდა სოციალიზმისა და დემოკრატიის ბანაკი მთელ მსო ლოიში. სამუდამოდ გამოაკლდნენ კაპიტალისტურ სისტემას აღმოსავლეთი და ცენტრალური ევროპის ქვეყნები, რომელთა ხალხებმა შექმნეს ახალი, მოწინავე სახალხო დემოკრატიული რეჟიმი და სოციალიზმის გზას დაადგნენ. მეორე მხრივ, იმპერიალიზმის ბანაკს ომის შემდეგ გამოაკლდნენ ისეთი რეაქციული მილიტარისტული სახელმწიფოები, როგორც გერმანია, იაპონია და იტალია. გერმანელ და იაპონელ აგრესორთა წინააღმდეგ განმათავისუფლებელ ომში განტკიცდა და გაიზარდა კოლონიების ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც ახლაც გმირულად იბრძვიან თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

ჰიტლერული გერმანიის განადგურების დდიდან განვლილი ოთხი წელი აღსავსეა საბჭოთა ხალხის გმირული ბრძოლით სოციალისტური ეკონომიკის აღმავლობისათვის, ომის მძიმე შედეგების სწრაფი ლიკვიდაციისათვის. ომისშემდგომი შემოქმედებითი შრომის ამ წლების მანძილზე საბჭოთა ხალხმა გამოაკლინა იგივე მაღალი თვისებები, რაც მას ჩაუნერგა ლენინ-სტალინის პარტიამ, — მამაცობა, სიმტკიცე, საშობლოსათვის ეროგულება და მისი აყვავებისათვის ბრძოლისაკენ მისწრაფება, თვისებები, რომლებიც მან გამოავლინა დიდი სამამულო ომის წლებში. ხუთწლედის პირველი სამი წლის მანძილზე აღდგენილი, აშენებული და ამოქმედებულია 4.000-მდე სამრეწველო საწარმო, უკვე გადაჭარბებულია სამრეწველო პროდუქციის გამოშვების ომამდელი დონე, მიღწეულია სოფლის მეურნეობის დიდი აღმავლობა, დიდად განვითარდა საბჭოთა ქვეყნის კულტურა, მკვეთრად ამაღლდა მშრომელი მასების საარსებო დონე.

სოციალისტური წყობილების დიდმა უპირატესობამ საშოალება მისცეს საბჭოთა კავშირს უმაღლეთო მოკლე ვადაში ახალ, მაღალ საფეხურზე აეყვანა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა და კულტურა. ასეთი წარმატებანი შეუძლებელია კაპიტალისტურ ქვეყნებში, რომლებსაც სწევავენ კლასობრივი წინააღმდეგობანი.

საბჭოთა კავშირი ომისშემდგომ წლებში განაგრძობს სტალინური საგარეო პოლიტიკის მტკიცედ განხორციელებას, განაგრძობს თავის კეთილშობილურ ბრძოლას მტკიცე შვიდობისათვის, დამარცხებული ფაშისტური ქვეყნების დემოკრატიული განვითარებისათვის, დიდი და მცირე სახელმწიფოების საერთაშორისო თანაშშრომლობისათვის. მშვიდობისათვის ამ ბრძოლაში საბჭოთა კავშირმა თავის გარშემო დარაზმა ყველა დემოკრატიული სახელმწიფო, კაპიტალისტური სამყაროს მთელი პროგრესული ძალები, დედამიწის ყველა პატიოსანი, მოწინავე ადამიანი. მშვიდობისა და დემოკრატიის ბანაკი, რომელსაც საბჭოთა კავშირი მეთაურობს, ახლა უფრო ძლიერია, ვიდრე ოდესმე და მისი ძალები განუწყვეტლივ იზრდება. ამას მოწმობს უკანასკნელი დროის ყველა მოვლენა, — უწინარეს ყოვლისა მშვიდობისათვის მასობრივი, საყოველთაოსახალხო მოძრაობა, რომლის გამოხატულებასაა წარმოადგენენ მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესი პარიზსა და პრაღაში და ამემად ყველა ქვეყანაში მიმდინარე მშვიდობის მომხრეთა ნაციონალური კონგრესები.

სხვა გზით წავიდნენ ძლევამოსილი ანტიჰიტლერული კოალიციის დანარჩენი მონაწილენი. ინგლის-ამერიკის ბლოკის მეხვეურები ოცნებობენ, რომ თავიანთ წინანდელ მოწინააღმდეგეებთან — გერმანიისა და იაპონიის მილიტარისტებთან — კავშირით დიდწყონ ახალი ომი მსოფლიო ბატონობის დასამყარებლად. მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მსოფლიო ბატონობა ისეთივე საშიში და გაუნურჩიელებელი ოცნებაა, როგორიც იყო ჰიტლერის, მუსოლინისა და ტოქიოს მისწრაფება მსოფლიო ბატონობისაკენ.

თუ ისტორიის გაკვეთილებმა უკვალოდ ჩაიარეს ახალი ომის აპოლოგეტებისათვის, ყველა ამ ჩერჩილების, ფორესტოლების, კენნინების, დალესებისათვის, მათ უქმად არ ჩაუვლია მთელი მსოფლიოს ხალხთა უფართოესი მასებისათვის. ოდესღაც ომს ამზადებდნენ ხალხისაგან „ფარულად“, მინისტრთა მყუდრო კაბინეტებში, ხოლო შემდეგ თავს ატეხდნენ ასეულ მილიონობით ადამიანებს. „მაგრამ განვლო იმ დრომ, როცა ხალხები ამა თუ იმ მმართველი ხროვის ბრმა იარაღი იყო“,—თქვა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 31-ე წლისთავის დღეს ამხანაგმა მოლოტოვმა. ხალხები, დემოკრატიული ძალები მთელ მსოფლიოში ფხიზლად ადევნებენ თვალყურს ახალი ომის გამჩაღებელთა ხროკებს და ჩაშლიან მათ დანაშაულებრივ ზრახვებს. ხალხთა მხარდაუჭერლად არ შეძლება ომი, ხოლო ხალხებს ომი არ სურთ, ისინი არ დართავენ ომის გაჩაღების ნებას.

1941 წლის 22 ივნისის დღე სსრ კავშირის ხალხებისათვის მრისხანე განსაცდელის დასაწყისი იყო. მაგრამ ამ დღეს ფაშისტმა აგრესორებმა ხელი მოაწერეს თავიანთ სასაკვდინო განაჩენს. მათ ხელი აღმართეს უძვირფასესზე, რაც კი კაცობრიობას მოეპოვება — საბჭოთა სოციალისტურ სახელმწიფოზე, თანამედროვე საზოგადოების უმაღლეს მიღწევაზე. მომავალი კომუნიზმის ეკუთვნის და ყველა ცდა, რომ ისტორიის ჩარხი, საზოგადოებრივი განვითარების მსვლელობა უკან მოაბრუნონ, განწირულია ჩასაფშვნავად. ამას დამაჯერებლად მოწმობს სამამულო ომის მთელი ისტორია, ომისშემდგომ წლებში სსრ კავშირში კომუნიზმის მძლავრი შემტევი მოძრაობის ისტორია.

ბ. ლეონტიევი

ᲡᲔᲕᲐᲡᲢᲝ�პᲝᲚᲘ ᲓᲦᲔᲡ

ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ ᲤᲝᲗᲝᲠᲔᲠᲘᲡᲐ

ვინც კი ყირიმს ესტუმრება, მისი პირველი მისწრაფებაა იხახულოს რუსეთის დიდების ქალაქი — ბერი სევასტოპოლი. საბჭოთა ადამიანების ამ ძისწრაფებას თავისი საფუძველი აქვს.

დიდი სამამულო ომის ძატანეში ოკეროს ასოებით არის ჩაწერილი სევასტოპოლის გმირული დაცვა. 250 დღის განმავლობაში სევასტოპოლი უმაგალითო სიმამაცითა და გმირობით იგერიებდა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა ურდოებს გაშმაგებულ ეერიშებს. სევასტოპოლს დამცველთა რიგებში იყვნენ ჩვენი დიდი სამშობლოს ყველა ეროვნების ხალხთა შვილები. დღესაც, როდესაც თვით სევასტოპოლში ჩამოვარდება ლაპარაკი მის გმირულ დაცვაზე, ქალაქის მკვიდრთაგან გაიგონებთ არკადი გეგეშიძის, ნოე ადამიას, კანანაძის, წურწუმიას და მრავალ სხვა გამოჩენილ ქართველ გმირთა სახელებს. მათ ადიდებენ აქ, ქებითა და სიყვარულით იხსენებენ თვითეულ მათგანს.

რვა თვის მანძილზე სევასტოპოლი მტრისათვის მიუვალ ბასტიონს წარმოადგენდა. ამ ხნის განმავლობაში გერმანელმა ფაშისტებმა ქალაქის მისადგომებთან ასეულ ათასობით ჯარისკაცი და ოფიცერი დაკარგეს მოკლულთა და დაჭრილთა სახით. საბჭოთა მეომრებმა, სახელოვნად შეასრულეს რა მათთვის დაკისრებული საბრძოლო ამოცანა, 1942 წლის 3 ივლისს, უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანებით დატოვეს ქალაქი. თითქმის ორ წელიწადს ბატონობდნენ ჰიტლერელი ბარბაროსები სევასტოპოლში. ეს მშვენიერი ქალაქი მათ ნანგრევებად აქციეს. მკაცრი ტერორით, სახრჩობელებით, საბჭოთა ადამიანების მხეცური წამებით გერმანელი ოკუპანტები ცდილობდნენ დაეშინებინათ ქალაქის მოსახლეობა, ჩაეხშოთ პარტიზანთა აქტივობა. მაგრამ მათ ეს ვერ შეძლეს. საბჭოთა პატიოტები სულ უფრო მეტ აქტივობას იჩენდნენ, მტერს მოსვენებას არ აძლევდნენ, იბრძოდნენ დღისითაც და ღამითაც. ისინი დარწმუნებულნი იყვნენ საბჭოთა სამშობლოს სიძლიერეში, სწამდათ, რომ სევასტოპოლის განთავისუფლების ჟამი მოახლოებული იყო.

1944 წლის 9 მაისს საბჭოთა არმიის ნაწილებმა შავი ზღვის ფლოტთან თანამეშრეობებით გმირი ქალაქი გაათავისუფლეს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან. სევასტოპოლის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში სახელი მოიხვეჭეს ქართველმა მეომრებმაც, რომლებაც ერთ-ერთმა პირველებმა განადგურეს იერიშები ფაშისტ ურდოებზე, ბრძოლებში ბასტიონ-ბატარეა „ბოლშევიკი“ ქართველმა მეომრებმა გაწმინდეს ჰიტლერელებისაგან. სამეოცე ბატარეა ბრძოლებში ინანა ბრძოლა ... ...

რა გვიჩვენა მოსავლის აღების პირველმა დღეებმა

(„კომუნისტის“ სპეციალური რეიდის მასალები)

პურეულის უხვი მოსავალია წელს ...ალის რაიონში. თვითეულ ჰექტარ-ზე 100-150 ფუთი პურის მოწება მა-ღარივი მოვლენა ხდება. რაიონში იშ-ვიათია ისეთი კოლმეურნეობა, სადაც ...ბრმანდელზე ერთიორად მეტ პუ-ლს არ აღებდნენ.

სოფელ ბოდბისხევის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობაში, სადაც ...ბრიგადამარეა მ. ტუზბაშვილი, 875 ჰექ-ტარი პურეული უთესია. აქ 300 ჰექ-ტარი ფარობის თვითეული ჰექტარის ...ოსავლანობა 190 ფუთს აღწევს, და-ახლოებისა — 150-160 ფუთს. სოფელ ...ოროს კოლმეურნეობა „შრომაში“ (...ბრიგადმარე სოკიოლისტური შრო-მის გმირი მ. ნაგრონაშვილი) წელს პუ-ლის მოსავლიანობა შარშანდელს ...ადად აღემატება. განსაკუთრებით ...ბ მოსავალს იღებენ ის ბრიგადები, ...ბლებსაც გ. გოდერძიშვილი და შ. ...ნდფრაშვილი ხელმძღვანელობენ. ...თი მაგალითები ბევრია.

კოლმეურნეთა ეს წარმატება დაძა-ლა შრომის, აგროტექნიკური ღონის-ძიებათა განხორციელების შედეგია. ...ურეული ძირითადად დათესილია ...ეთი და ადრეული ანეულზე, რომე-ლიც ღრმად იყო მოხნული. ღრმად ...ნ საშუალოდ 24-25 პროცენტით ...ოდებს მარცვლეულის მოსავალს. ...ბდეგ ხშირად ხდებოდა ნიადაგის ...ეფხვერება. თესვის წინ ჩაატარეს ...ბნავის კულტივაცია, ფარცხვა, შემ-ეგ კი მწკრივად თესვა, ამასთან ნაკვე-ბი ბევრგან წინასწარ გაპატივეს და ...ურედინი თესვაც მოაწყეს. სეროო-ელი ყურადღება მიექცა თესლის ხა-ლსს — თითქმის ყველგან დათესი-ა თუთრი და წითელი ფოლის პუ-ლისა და ფერუგინეუმის მაღალხარის-ოვანი თესლი. მოწინავეკი კოლმეურ-ნეობა გაზაფხულზე მოაწყეს ნათესის ...ბატებითი კვება — ნაკვეთების თვი-ელ ჰექტარზე მოაბრიეს 2-3 ტონა ...ადაწვარი ნაკელი, შემდეგ კი ჯე-ლზე ფარცხი გადაატარეს. ნათესი ...ურეულად გამოგლეს, ზოგან მარ-ცა ორჯერ-სამჯერაც მოაწყეს.

რაიონში დაწყებულია პურეულის ...ბერეგვითი აღება. კოლმეურნეობები ...ერველ განაკეწულ პურს სახელმწიფოს ...ბარებენ. წნორის მიმღებ პუნქტში ...ელდღიურად ტონობით მოაქვთ მა-ღარხარისხოვანი მარცვლეული.

ოსანიშნავია, რომ წელს რაიონი გა-ლ წლებზე უკეთ მოემზადა მოსავ-ლის აღებისთვის. დროულად დამ-ბრიგადა მოსავლის ასაღები მანქანე-ბი — კომბაინების, ტრაქტორების და ...ბების შეკეთება, კომბაინებს მოუწყეს ...ბრეკალსაჯერები, ნამკიდ შემგროვე-ელ-დამბულელებები და ჩაწოლი-ნ პურის ასაღები ნაწილები. პურის ...ლის გაჩაღებამდე სამეჯილოებში დაამ-ზადეს მანქანების რემონტისათვის სა-ჭირო ნაწილების მარაგი. კომბაი-ნის აგრეგატებისა და სატრაქტო-რ ბრიგადების მოსავლის აღებ-ის პერიოდში მომსახურებისათვის გა-მართეს მოძრავი სახელოსნები, თვი-თეული აგრეგატს დასახმარებლად გა-მოუყვეს ცხენი, ურმები, ხარები, მუ-შაები, მინდვრად მოაწყეს ბინები და კვება, დროულად დაამთავრეს მოსავ-ლის შესანახი და გასაშრობი ბეღლე-ბი, გადახურული კალმების, ფარდულ-ებისა და საშრობების რემონტი და ...ბ. მენთეშაშვილი და ტრაქტორისტი ...ვ. ავლიოშვი, თავთავების ჩკრეფავი კოლმეურნეები ნინო სესიტაშვილი, ...ბაბლო ნიკეფაშელი და ნინო კაკაშვი-ლი დღიურ დავალებებს ხშირად ორმა-გად ასრულებენ.

შემოწმებამ ისიც გვიჩვენა, რომ რაიონში მოსავლის უდანაკარგოდ ასა-ღებად ყველაფერი როდი გაკეთებული. ...წნორის მტს-ს, რომელსაც 5.000-მდე ჰექტარი პურეულის აღება ეკისრება, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეო-ბის სამინისტროსაგან თანხებისა და ლიმიტის მიუღებლობის გამო საწვავ-საპობი მასალები საჭირო რაოდენო-ბით არ მოუმარაგებია, მასალის უქონ-ლობის გამო 7 კომბაინის აგრეგატზე არა აქვთ ნაპერწკალმქერი, 6 კომბაინ-ზე—ნამჯის შემგროველები; აკლიათ აგრეთვე ხეიერის ყუთის 4 კბილანა და ზოგიერთი სხვა ნაწილი.

ალაზნის მტს-ში კომბაინების ნახე-ვარზე მეტს ნამჯის შემგროველები არა აქვს. გარდა ამისა, მოსავლის აღე-ბის გეგმის შესასრულებლად დამატე-ბით სჭირდებათ 2.000 ცალი შტიფტი, 10 ცალი გალის ჯაჭვი, კომბაინის ხე-დერის ყუთის და ზოგიერთი სხვა სახის კბილანები, 10 კილოგრამი ბაბიტი, 10 ცალი მაგნეტო და 13 ცალი დინამო. მტს-ს ხუთი დღის მარაგზე მეტი საწ-ვავი არა აქვს. რატომღაც სოფლის მეურნეობის სამინისტრო დღემდე ან-გარიშს არ უწევს იმას, რომ აქ საგა-ზაფხულო სამუშაოთა გეგმების გადა-კეთებებით შესრულების გამო საწვავი გათვალისწინებულზე მეტი დაიხარჯო.

ასეთ ნაკლოვანებასაც ეხვდებით: კოლმეურნეობებიდან მარტო ალაზნის მტს-ს მუშაკებს მიუღებელი აქვთ შრომადღეებზე კუთვნილი 10 ტონამ-დე მარცვლეული. მაჩხაანისა და ძველი ანაგის სასოფლო საბჭოების კოლ-მეურნეობებიდან მოსავლის აღებისა-თვის გამოყოფილი არ არის 13 მწონა-ვი. მაჩხაანის კოლმეურნეობები (განსა-კუთრებით კიროვის, დიმიტროვის და მახარაძის სახელობისა) აჭიანურებენ მინდვრად კომბაინერებისათვის ღამის გასათევი ბინების მოწყობას. ასაღები ნაკვეთებისა და კალოების მომზადება გააჭიანურეს ჯუგაანის ვორონცოვის სახელობის კოლმეურნეობაში, სადაც თავმჯდომარეა ბ. ელაშვილი. მაჩხაანის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში დააგვიანეს კალოების მომზადება და ტრანსპორტის გამოყოფა. ბოდბისხევის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურ-ნეობაში დღემდე არ შეუძენიათ 500 ცალი ტომარა და 5 ბრეზენტი. აქ რა-ტომღაც არ ითვალისწინებენ იმას, რომ ასაღები ფარობები კოლმეურნეობას 55 კილომეტრით არის დაშორებული და მისი დაცვა სეროიზული საქმეა. სოფელ ჯუგაანის ჩარკვანის სახელობის კოლმეურნეობაში ნაკლებ ყურადღებას აქცევენ დანაკარგებთან ბრძოლას — კომბაინით მოსავლის აღებასთან ერ-თად არ მიმდინარეობს თავთავების აკრეფა.

უნდა ვუსაყვედუროთ მტს-ებსაც. სოფელ საკობოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში მომუშავე წნორის მტს-ის კომბაინი, რომელსაც გ. ალადა-შვილი მართავს, ნამჯას ვერ აგროვებს. ამავე მტს-ის ჩ. ნარიდორშვილის კომ-ბაინი 15 ივნისს მოსავლის აღების დაწყებისთანავე გაჩერდა ბიტერის ღერძის გატეხის გამო, მაგრამ შემც-ველელი ნაწილი ადგილზე არ აღმოჩ-ნდა. ამავე დღეს ნაწილი დაუზიანდა ერთ ტრაქტორს. ამიტომ სამუშაოდ მეორე ტრაქტორი გამოიყენეს, მაგ-რამ იგი მოუმზადებელი აღმოჩნდა — არ ჰქონდა ნაპერწკალმქერი და მოსა-ლოდნელი იყო ხანძრის გაჩენა.

უთავბოლოდ ვერ მუშაობენ ალაზნის მტს-ის მანქანებიც. 15 ივნისს სოფელ ჯუგაანის ჩარკვანის სახელობის კოლ-მეურნეობაში მომცდარი იყო ალ. პო-ფოდკინის კომბაინი ბარბაცას ჩაწვის გამო.

ნაკლს ეხვდებით წნორის მიმღებ პუნქტზეც. მართალია, აქ წელს უკეთ მოემზადნენ პურის მიღებისათვის — დროულად წესრიგზე მოიყვანეს საწ-ყობები, საშრობები, ლაბორატორიები, მოიმარაგეს ქვეირები და სხვ., მაგრამ „ზაგოტზერნოდან“ არ მოუტანიათ ბრეზენტები. ამ მდგომარეობას კი შე-უძლია გამოიწვიოს მოსავლის მნიშ-ვნელოვანი დაზიანება.

რაიონში დღითიდღე ძლიერდება პურეულის აღება. საკმაოა სასწრა-ფოდ გამოვასწოროთ ბკის პირველ დღეებში შემჩნეული ნაკლოვანებანი, მთელი მოსავალი მოკლე დროში და უდანაკარგოდ ავიღოთ და მოსავლის აღების პირველი დღეებიდანვე გავა-ჩაღოთ სახელმწიფოსათვის პურის ჩა-ბარება. ბოლშევიკურად განვახორციე-ლოთ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო-სა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალუ-რი კომიტეტის დადგენილება „1949 წელს მოსავლის აღებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადე-ბის ჩატარების შესახებ“.

არ დაჯაბერეთ არც ერთი თავთავი. მიეცეთ ჩვენს სამშობლოს მტები პური!

რეიდის მონაწილენი: ტ. თოდუაძე, გ. ძაუკრიშვილი — „კომუნისტის“ თანამშრომლები, ი. ამირანიძე — წნორის მტს-ის დირექტორის მოადგილე პოლიტნაწილში, ელენე ნატროშვილი — ალაზნის მტს-ის ტრაქტორისტი, ლენინის ორდენოსანი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ბ. ლაზარიაშვილი — ამავე მტს-ის კომბაინერი, ლენინის ორდენოსანი, ვ. დავითაშვილი — კომკავშირის სიღნაღის რაიკომის მდივანი, ლ. ისაკოვი — სიღნაღის რაიგაზეთის რედაქციის თანამშრომელი.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

მოთხრობა ომიდან დაბრუნებულზე

საბჭოთა ეპოქაში ბევრი ღირსეული ნაწარმოები შექმნეს ქართველმა მწერ-ლებმა მხატვრული პროზის დარგში. თავიანთი იდეურობით, ოპტიმისტური გაწყობილებით, საბჭოთა ადამიანების მტკიცე ნებისყოფის ასახვით ეს ნაწარ-მოები ეხმარებიან ახალი ქვეყნის მშე-ნებელთ, ახალი ცხოვრების შემქმნელ მილიონიან მასებს მათს გმირულ შრო-მასა და ბრძოლაში. ყოველგვარი სხვა გზა და ტენდენციია ჩვენი დროის შე-მოქმედს მიიყვანდა ობიექტელობამდე, უიდეობამდე.

ამხ. ა. ედანოვმა თავის მოხსენებაში ჟურნალების „ზვიზდისა“ და „ლენინ-გრადის“ შესახებ თქვა: „ჩვენ უნდა გამოვარჩიოთ საბჭოთა ადამიანის საუ-კეთესო გრძნობები და თვისებები, გა-დავუშალოთ მას მათი ხელაღნდგენი დღე და ამავე დროს ვაჩვენოთ ჩვენს ადამიანებს, თუ როგორი არ უნდა იყვნენ ისინი, უნდა ვამათრახებდეთ გუ-შინდელი დღის გადმონაშთებს, გადმო-ნაშთებს, რომლებიც წინსვლას უშლიან საბჭოთა ადამიანებს“. რამდენად აკმა-ყოფილებს ამ აუცილებელ პირობას საბჭოთა მწერლის ესა თუ ის ნაწარ-მოები, არის თუ არა იგი ამ მოწოდების სიმაღლეზე,—აი ის უმთავრესი, რითაც ხასიათდება ჩვენი დამოკიდებულება საბჭოთა ეპოქის შემოქმედისა და მისი ნაწარმოებისადმი.

ამ რამდენიმე ხნის წინათ გამომცემ-ლობა „საბჭოთა მწერალმა“ გამოაქვეყ-ნა სერგო კლდიაშვილის მოთხრობე-ბის წიგნი „დაბრუნება“. სერგო კლდია-შვილი ჩვენი მხატვრული ლიტერატურ-ის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომად-გენელია. მას ახასიათებს თავისებური, ლაკონურობამდე ცოცხალი ენა, ...ნერილი, ...ორიგინალური და საინტერე-სო მანერა, შემოქმედებითი გულწრფე-ლობა და ოპტიმიზმი. ...ეს ...ეს ...ეს

საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს პარიზის სესიაზე

საგოლო სხდომები

პარიზი, 20 ივნისი. (საგანგებო). (კორ.). დღეს შეიდა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს დახურული სხდომა, ხოლო შემდეგ ბეევინის თავმჯდომარეობით გაიხსნა პლენარული სხდომა.

მინისტრებმა ჯერ დაამტკიცეს პარიზის სესიის სხდომების ოქმები. ოქმების დამტკიცებასთან დაკავშირებით ა. ი. ვიშინსკის სხდომის პოდგენა, რომ 23 მაისს საბჭოთა დელეგაციამ დაადგინა საკითხი: ბიმ არ არის შესაძლებლობა შეფასებისმდეგ, თუ რიგის შეიკრიბება საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭო. ჩინეთის მონაწილეობით იაპონიასთან საზავო ხელშეკრულების საკითხის განსახილველად.

იაპონიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ

— რამდენადაც შემიძლია ვიმსჯელო ჩვენი ოქმების მიხედვით, — თქვა ვიშინსკიმ, — მაშინ ყველა მინისტრს არ გამოუთქვამს ეჭვი ამ საკითხზე. კერძოდ, ბ-ნმა ბევინმა თქვა, რომ იგი უნდა მოუთათბიროს მისი უფლებებიანი მთავრობის. ამრიგად, საკითხი ღიად დარჩა.

შემდეგ ვიშინსკის სხდომას მოგონა, რომ 23 მაისის სხდომაზე ბერესინმა თქვა, რომ საჭიროა ამგვარი პრობლემების განხილვის გამოცდილების შეკრება და რომ სსრ კავშირის დელეგაციის მიერ დასმული საკითხის განხილვა დამოკიდებული იქნება იმ საკითხების დადგენილად გადაწყვეტაზე, რომლებიც ამ სესიის დღის წესრიგზე დგანან.

— მე უნდა აღვნიშნო, — შენიშნა ამასთან დაკავშირებით ვიშინსკიმ, — რომ მოეხდებოდად ინფა, რომ ჩვენ ვერ მოგაჯერებდეთ შეთანხმების მიღწევა გერმანიის ეკონომიური და პოლიტიკური ერთიანობის აღდგენისა და გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების ძირითად საკითხებზე, მთელი რიგი საკითხები გადაწყვეტილ იქნა. ნამსახადმე, ის პირობები, რომლებზეც ბ-ნი ბერესინი ლაპარაკობდა, არსებობს; ამრიგად, ახლა შეიძლება პასუხის გაცემა სსრ კავშირის დელეგაციის მიერ დასმული კითხვაზე. მე ერთხელ კიდევ მოგადონრებთ, რომ საქმე ეხება იმას, თუ რიგის შეკრიბება საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭო იაპონიასთან საზავო ხელშეკრულების საკითხის განსახილველად.

უპასუხა რა ვიშინსკის მიერ დასმულ კითხვაზე, ბევინმა თქვა, რომ ინგლისის მთავრობას ამჟამად არ შეუძლია დასახელოს „რომელმე თარიღი, როდესაც საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს შეეძლება შეიკრიბოს იაპონიასთან საზავო ხელშეკრულების საკითხის განსახილველად".

ამის შემდეგ სიტყვა აიღო ბერესინმა და თქვა, რომ მას სურს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის თვალსაზრისი ჩამოაყალიბოს არა მარტო იაპონიასთან საზავო ხელშეკრულების საკითხის განსახილველად საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭის სესიის მოწვევის ვადის შესახებ. მან განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა არ მიიჩნევა, რომ საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭო „შესაფერი ორგანიზაციაა იაპონიასთან საზავო ხელშეკრულების მოსამზადებლად".

ფაქტების საწინააღმდეგოდ ბერესინი ამტკიცებდა, რომ „პოტსდამის შეთანხმებებში არაფერი ისეთი, რაც საჭიროებულის ზედიდ საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს გამოყენებას ამ მიზნით". მან თქვა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას კვლავ მიაჩნია, რომ იაპონიასთან საზავო ხელშეკრულების მოსამზადება უნდა დაეკისროს შეიერთებულ ალიანსიანს ოფისის წევრ სახელმწიფოთაგან შემდგარ კონფერენციას.

შემაშნა განაცხადა, რომ საფრანგეთი ჯერ კიდევ ორი წლის წინათ დაეთანხმა შეეერთებული შტატების ამ აზრს და მისი პოზიცია უცვლელი რჩება. ბევინმა ერთხელ კიდევ გაიმეორა, რომ ბრიტანეთის მთავრობას არ შეუძლია დღეს განიხილოს იაპონიასთან საზავო ხელშეკრულების საკითხის გადასწყვეტად საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს მოწვევის თარიღის საკითხი.

ვიშინსკი შეეხო დასავლეთ სახელმწიფოთა წარმომადგენლების მიერ გამოთქმული შენიშვნების ამ თქვა:

— ბ-ნი ბევინი მართალია, — მე დავაყენე სწორედ თარიღის საკითხი. მაგრამ ბ-ნმა ბერესინმა ეს საკითხი გაიფართოდა და ლაპარაკი უკვე არა მარტო თარიღზე. იგი შეეხო პრინციპულ საკითხს: ითის შესახებ, არის თუ არა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭო „შესაფერი ორგანიზაციაა" იაპონიასთან საზავო ხელშეკრულების საკითხის განსახილველად. ამიტომ მე მინდა შეეეხო სწორედ ამ საკითხს.

ვიშინსკიმ სხდომას მოაგონა, რომ პოტსდამის შეთანხმებებში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ „კონფერენციამ მიიღოს შეთანხმებას საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს შეკრნის შესახებ, რომელშიც წარმოდგენილია ხუთი მთავარი საზელშეწოო, მშვიდობიანი მოწესრიგებისა და ომ სხვა საკითხების განხილვისათვის საჭიროო მოსამზადებელი მუშაობის განსაგრძობად, რომელიც საბჭოში მონაწილე მთავრობების შეთანხმების დრო და დრო შეიძლება გადაეცეს საბჭოს".

— აქ არაფერია შეზღუდვა არ არის, — ხაზგასმით აღნიშნა ვიშინსკიმ. — აქ ნათქვამი არ არის, რომ მშვიდობიანი მოწესრიგება შეეხება მხოლოდ გერმანიის ან იტალიას, და რომ ეგი არ შეეხება იაპონიას, ეს საფსალთა გასაგებია. ვინაიდან ნეოსრ ფორთეფილ აქვს ის უფლებები, რომლებიც ეკუთვნით დანარჩენ სახელმწიფოებს, თუნდაც დამარცხებულებს? არა. და როცა ოთხი სახელმწიფო ჰკრნნიდა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს, მათ მისი მიზნები განსაზღვრეს ისე, როგორც პოტსდამის შეთანხმებაშია ნათქვამი — მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის საჭიროო მოსამზადებელი მუშაობის განსაკრძობად. განა ეს საკმარისი არ არის? განა ნათქვიდან არ ჩანს, რომ საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს უნდა განაბარიცეოლოს იაპონიასთან საზავო ხელშეკრულების მომზადებაც? ეს ქვეყანა ხომ მოელის მშვიდობიან მოწესრიგებას. ამიტომ ჩემთვის გაუგებარია ბ-ნ ბერესინის მტკიცება, თითქოს საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭო „შეუფერებელი ორგანიზაციაა" იაპონიასთან მშვიდობიანი მოწესრიგებისა და ომ-ზაფიცებლად.

შემდეგ ვიშინსკიმ დაიმოწმა პოტსდამის შეთანხმებათა ის პუნქტი, რომელშიც ნათქვამია: „თავიდეოო ამ ამოცანის (ე. ი. მშვიდობიანი მოწესრიგების ამოცანების) გადასაწყვეტად საბჭო შედგება იმ სახელმწიფოთა წარმომადგენელი წევრებისაგან, რომლებმაც ხელი მოაწერეს იმ მტრული სახელმწიფოსათვის ნაყარბაზეე კაპიტულაციის პირობებს, რომელსაც ეს ამოცანა შეეხება".

— იაპონიას უკარნახეს კაპიტულაციის პირობები, — თქვა ვიშინსკიმ. — რომელმა სახელმწიფოებმა უკარნახეს ეს კაპიტულაცია? სსკავშ შორის ჩინეთმა. მაგ ვის შეეხება ეს ამოცანა ამ პუნქტის თანამხმად?

ბუნებრივია, რომ იგი უნდა შეეხებოდეს არა მარტო ამერიკის შეერთებულ შტატებს, დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთსა და სსრ კავშირს, რომლებმაც ეს პირობები უკარნახეს, არამედ ჩინეთსაც, რომელმაც ფრეთვე უკარნახა იაპონიას კაპიტულაციის პირობები. ეს სავსებით ნათელია. ჩინეთს სრული უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოში იაპონიასთან მშვიდობიანი მოწესრიგების მომზადებისას. ამაზე შეიძლება გეფიქრნენ ჩინეთს შეეძლოა მონაწილეობა მიიღოს ამ მუშაობაში როგორც შორეული ალიმოსავლეთის კოლონიის წევრმა. ამაზე შემიძლია ეუთხარო: პოტსდამის შეთანხმებანი თვალსაწინაზეა ჩინეთის მონაწილეობის არა შორეული აღმოსავლეთის კოლონიის, არამედ საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოში.

შემდეგ ვიშინსკი შეჩერდა საკითხზე იმის შესახებ, თუ რა ფორმით შეძლებენ იაპონიასთან საზავო ხელშეკრულების მომზადებაში მონაწილეობის მიღებას შორეული აღმოსავლეთის კოლონიის შემადგენლობა სხვა სახელმწიფოები. მან ანალიზი გაუკეთა პოტსდამის შეთანხმებათა მესამე და მეოთხე პუნქტებს, რომლებიც შეიცავენ პასუხს ამ კითხვისაკენ. შემდეგ ვიშინსკიმ სხდომის მოგონრა ტალიასთან, ეფგრეთთან, ეუნგრეთთან და ფინეთთან საზავო ხელშეკრულებების მომზადების გამოცდილება.

ჩვენ წინადადებას ვიძლევეთ, — თქვა ვიშინსკიმ, — დავიცვათ ეს წესი, რომელიც შეეხება ბამეები პოტსდამის გადაწყვეტილებებს, და არ შემოვიღოთ სხვა წესი, რომელიც განსხვავდება პოტსდამის შეთანხმებებით გათვალისწინებულ წესისაგან და ეწინააღმდეგება მას.

* * *

თუმცა ა. ი. ვიშინსკიმ ამომწურავი სისრულით ცხადყო, რომ საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭო ერთადერთი კანონიერი ორგანოა, რომელიც მოუფიდებელია მოამზადოს საზავო ხელშეკრულება იაპონიასთან, ინგლისი კვლავ უარყოფდა ამ აშკარა ფაქტს. მან მეორედ აიღო სიტყვა და თქვა, რომ „იაპონიის საზავო ხელშეკრულებაზე პოტსდამის შეთანხმებებში არაფერია ნათქვამი". მან იქვე განაცხადა, რომ „ამაზე რიგი ხელმოწერილი იქნა პოტსდამის შეთანხმებაზე, საბჭოთა კავშირი იაპონიასთან ომის მოგებიერიგამაში არ ყოფილა". ინგლისმა სხდომამდეს მოიგონა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ ჯერ კიდევ 1947 წელს გამოთქვა აზრი ამის სასარგებლოდ, რომ იაპონიასთან საზავო ხელშეკრულების პროექტი მოემზადებინა არა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს, არამედ შორეული აღმოსავლეთის კომისიის, და თქვა: „საბჭოთა კავშირს მაშინ რომ მიეღო ეს წინადადება, ჩვენ ახლა საკმაოდ წინ წავიწევდით ამ საზავო ხელშეკრულების მომზადების შრომაში".

უპასუხა რა ინგლისს, ვიშინსკიმ მოიყვანა მთელი რიგი ფაქტები, რომლებითაც მტკიცდება ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის მოსაზრებათა სრული უნიადაგობა.

ვიშინსკი შეეხო ამ როლს, რომელიც სსრ კავშირმა შეასრულა შორეულ აღმოსავლეთის ფრონტზე და აღნიშნა, რომ ეს როლი ყველასათვის კარგად არის ცნობილი და ყოველგვარი ცდა—შეამცირონ მისი მნიშვნელობა, სრული მარცხით დამთავრდება.

— ყოველ შემთხვევაში, — განაგრძო ვიშინსკიმ, — საკითხი იმის შესახებ, უნდა მიიღოს მონაწილეობა თუ არა ჩინეთმა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს მუშაობაში იაპონიასთან საზავო ხელშეკრულების შემუშავებისას, არ შეიძლება სადავოდ გახდეს. ჩინეთი მონაწილეობდა იაპონიის წინააღმდეგ ომში იმ დროს, როცა მეუზაღეებდა პოტსდამის შეთანხმება.

აჩესონის შენიშვნის გამო, რომ იაპონიასთან საზავო ხელშეკრულების მომზადება წინ წაიწევდა სსრ კავშირს უარი რომ არ ეთქვა მიეღო ამერიკის შეერთებული შტატების წინადადება, რათა ეს მზადება შორეული აღმოსავლეთის კომისიის ჩარჩოებში წარმოეტანოო, ვიშინსკიმ თქვა:

— იაპონიასთან საზავო ხელშეკრულების მომზადებას აბრკოლებენ შეერთებული შტატები და არა საბჭოთა კავშირი. შეერთებული შტატებს არ ს